ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჯანდაცვის მიმართულებით (საექთნო საქმის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე)

- პროფესორი - 3;
- ასოცირებული პროფესორი - 8;
- ასისტენტ - პროფესორი - 5;
- ასისტენტი - 4;

საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური ნიშნით:

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

გამოცდილება: სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები;

დამატებითი მოთხოვნები: უცხოენოვან პროგრამაზე შესაბამისი სწავლების ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

გამოცდილება: სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები;

დამატებითი მოთხოვნები: უცხოენოვან პროგრამაზე შესაბამისი სწავლების ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები;

დამატებითი მოთხოვნები: უცხოენოვან პროგრამაზე შესაბამისი სწავლების ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: დოქტორანტი;

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები;

დამატებითი მოთხოვნები: უცხოენოვან პროგრამაზე შესაბამისი სწავლების ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;

აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლებელია არჩეული იქნას პირი პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კლინიკური დისციპლინების სწავლებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება საექთნო ან/და მედიცინის სფეროში შემდეგი:

- შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი (მედიცინის სფეროსთვის) პედაგოგიური და კლინიკური გამოცდილება:
- პროფესორი-პედაგოგიური გამოცდილება სულ მცირე 6 წელი, კლინიკური- სულ მცირე ბოლო 9 წელი;
- ასოცირებული პროფესორი-პედაგოგიური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი, კლინიკური- სულ მცირე ბოლო 5 წელი;
- ასისტენტ-პროფესორს კლინკური გამოცდილება სულ მცირე ბოლო 3 წელი;
- ასისტენტს- დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში მიმდინარე კლინიკური პრაქტიკით მინიმუმ ბოლო 1 წლის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV (რეზიუმე), ქართულ და ინგლისურ ენეზე
- აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის/დიპლომების ასლები
- ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით სილაბუსი/სილაბუსები
- ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი წლების მითითებით
- უცხო ენის (პროგრამის სწავლების ენის შესაბამისად) ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
-სხვა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში);

კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

პირველი ეტაპი - კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა.

მეორე ეტაპი - გასაუბრება.

შენიშვნა: საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს საცდელი ლექციის წაკითხვა.

კონკურსის ჩატარების ვადა:

1. კონკურსი გამოცხადდეს 2026 წლის 15 იანვარს;
2. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2026 წლის 16 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით;
3. კონკურსის პირველი ეტაპი (საბუთების გადარჩევა) - 2026 წლის 4 მარტი;

4. კონკურსის მეორე ეტაპი (საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება) - 2026 წლის 10 მარტი (კონკურსანტებს გასაუბრების დრო ეცნობებათ განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე);

5. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2026 წლის 13 მარტს.

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება მხოლოდ ადგილზე. ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქ. N 46, ოთახი N 12 11^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (შესვენების გარეშე).

საკონტაქტო რეკვიზიტები:

ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქ. N46. ტელ: 032 218 52 52

vacancy@neu.edu.ge